



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49220841

თარიღი:25/03/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 29

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის
მიერ

2021 წლის III- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 წლის III- IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 წლის
III და IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

2021 წლის III და IV კვარტალის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დებულებითა და კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

ზედამხედველობის სამსახური, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება“-სთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 105 727.87 ლარი, რაც 2020 წლის (94 681 ლარი) ამავე პერიოდთან შედარებით 11 046.87 ლარით მეტია. 2021 წლის III კვარტალში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 39 878.89 ლარი ფიზიკური პირებიდან 7 145 ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან 32 733.89 ლარი. 2021 წლის IV კვარტალში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 65 848.98 ლარი. ფიზიკური პირებიდან შემოსულმა თანხის ოდენობამ შეადგინა 6 968 ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან - 58 880.98 ლარი. საანგარიშო პერიოდში, ჯამში ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის კუთხით, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 14 113 ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან 91 614.87 ლარი.

18 სექტემბერს, მსოფლიო დასუფთავების დღესთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო დასუფთავების აქციები COVID-19-ის რეგულაციების სრული დაცვით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერმანენტულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაზიანებების, იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტები და მათ წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა კანონით განსაზღვრული ღონისძიებები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში გამოვლინდა უნებართვო მშენებლობისა და სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტები. სოფელ გუმბრასა და მაღლაკში კი, უნებართვო მშენებლობის. III

კვარტალში ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 2 400 ლარი, ხოლო IV კვარტალში - 4 200 ლარი. ჯამში სამშენებლო სამართალდარღვევებიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 6 600 ლარი, რაც 2020 წლის (2 200 ლარი) ამავე პერიოდთან შედარებით 4 400 ლარით მეტია.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა კომუნალურ სამსახურთან, რაც შესაძლებელს ხდიდა ოპერატიულად აღმოფხვრილიყო სხვადასხვა კომუნალურ ქსელზე წარმოშობილი დაზიანებები.